MES 9 21 0001430337

28/12/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის14 დეკემბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმ ჯდომარე;**
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;**
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის“ სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინა ქორიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:
ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნიკა ფარჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთევან თელია - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი:

1. არქიმანდრიტი ადამი - რექტორი;
2. ნატო ასათიანი - ადმინისტრაციის კოორდინატორი;
3. გრიგოლ სულაბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

4. თემურ წურწუმია - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
5. ბელა სარია - ფაკულტეტების დეკანი;
6. მერი გაბედავა- ადამიანური რესურსების ორგანიზების და კოორდინირების სპეციალისტი;
7. ბორის ზაალიშვილი - მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტი;
8. ინგა ღუტიძე - სერვისების/კარიერული განვითარების და კომუნიკაციის სამსახურის კოორდინატორი;
9. ნინელი მელქაძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
10. ლეილა მეფარიშვილი - ბუღალტერი;
11. ბელა კოპალიანი - სამეცნიერო კვლევების ორგანიზების და კოორდინირების სპეციალისტი;
12. ნინო დიდბერიძე - სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი;
13. ალექსანდრე რუსეცკი - პროგრამის ხელმძღვანელი;

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია:

1. ლაშა ჩეკურიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

3. ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტი:

1. თენგიზ ირემაძე - უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი;
2. მიხეილ გოგატიშვილი - ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი:

1. პანდელის იპსილანდისი;
2. ნინო დოლიძე;
3. ჯილდა ჭეიშვილი;
4. გიგა ხოსიტაშვილი;
5. ირაკლი გაგუა;
6. მარი რუამე;

2. **ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია:**

1. ია ნაცვლიშვილი;
2. ია მოსაშვილი;
3. ინგა ბოჭოიძე;

3. **ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტი:**

1. ია ნაცვლიშვილი;

2. ია მოსაშვილი;
3. ინგა ბოჭოიძე;

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პანდელის იპსილანდისმა, განაცხადა, რომ განსახილველი უნივერისტეტი არის ძალიან მცირე. უნივერსიტეტში, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე, აქტიური სტატუსის მქონე 95 სტუდენტი იყო. 9 საგანმანათლებლო პროგრამიდან, მხოლოდ ერთი იყო აკრედიტებული, 2 პროგრამაზე იყო 1-1 სტუდენტი, 3 პროგრამაზე 3; 4 და 7 სტუდენტი. დაწესებულებას ჰქონდა მკაფიო მისია, რომელიც ისახებოდა მათ პროგრამებშიც. სტუდენტთა მცირე რაოდენობის მიუხედავად, რომელიც შეიძლებოდა ფინანსური კუთხით არ ყოფილიყო ეფექტიანი, უნივერსიტეტი იყო მკაფიო პოზიციაზე, რომ განეხორციელებინა ამ ტიპის პროგრამები, მას ჰქონდა ძლიერი მხარდაჭერა საპატრიარქოსგან, რომლისგანაც მოწოდებული იყო ბიუჯეტის დაახლოებით 80%, ამ საკითხს ჰქონდა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე, უარყოფით მხარეში მან იგულისხმა, რომ დაფინანსების დიდი წყარო ნაკლებად უჩენდა უნივერისტეტს მოტივაციას გასაზრდელად და მეტი სტუდენტის მოსაზიდად. ექსპერტმა მაგალითად მოიყვანა „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ჰყავდა ერთი სტუდენტი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს არ იყო პოპულარული პროფესია საქართველოში, რეალურად კი ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საექთნო საქმე მოთხოვნადი პროგრამაა. მისი თქმით უნივერსიტეტს ჭირდებოდა, რომ ყოლოდა მეტი პარტნიორი, რომლებიც მოახერხებდნენ პროგრამების/უნივერსიტეტის პოპულარიზაციას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, უნივერსიტეტის ზრდა იქნებოდა ხელშემწყობი უნივერსიტეტის გაუმჯობესება/განვითარებისათვის, თავად უნივერსიტეტის მცირე ზომა გავლენას ახდენდა, როგორც სასწავლო გარემოზე, ასევე უნივერსიტეტში დასაქმებული ადამიანების სტაბილურობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე კმაყოფილი იყო აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო ხარისხით, ისინი არ იყვნენ სტაბილურად დასაქმებულნი უნივერსიტეტში, ზოგიერთი მათგანი კითხულობდა კურსებს არა სტაბილურად, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის უმეტესობა დაკავებული იყო სხვა საქმეებითაც, რაც საერთო ჯამში არ იყო კარგი. ძალიან ბევრი სერვისი, რომელთაც უნივერსიტეტი სთავაზობდა, არ იყო მოცემული ერთიანი სახით, წარდგენილი იყო ფრაგმენტულად, რაც დაწვრილებით აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, აღნიშნული საკითხი ეხებოდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ისე ადამიანური რესურსების სამსახურსა და

სტუდენტურ სერვისებს. უნივერსიტეტს ესმოდა ეს საკითხი, საქმის კურსში იყო და გარკვეულ ცვლილებებს ახორციელებდნენ, უნივერსიტეტი ცდილობდა მოეზიდა ახალი ადამიანები, ასევე, გარკვეული ინიციატივები განხორციელდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის კუთხითა და ადმინისტრაციული კუთხით, მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს გაუჭირდა შედეგების მოძებნა/დანახვა, რომელიც იქნა განხორციელებული. იგი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და სადაც დაწესებულება ძირითად შემთხვევებში დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და გამოთქვა მზაობა გარკვეული ცვლილებების განსახორციელებლად. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეფასება, რომელიც მოცემულია დასკვნაში ეყრდნობოდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო ვიზიტის დროს დოკუმენტაციასა, თუ დათვალიერებასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით. მისი მოსაზრებით უნივერსიტეტის ზომა და რესურსები იყო მთავარი გამოწვევა, თუმცა უნივერსიტეტი ახერხებდა მაღალი ხარისხის ადამიანური რესურსის მოზიდვას, მაგრამ არსებობდა გარკვეულ გამოწვევები, რომლებიც გამკლავებას საჭიროება.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები რჩევები:

რეკომენდაციები:

- გააქტიურდეს ძალისხმევა იმ დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვისთვის, რომლებიც უნივერსიტეტის გავრცელების რეგიონში არიან და გაიზარდოს ინფორმაციის გავრცელება.
- უნივერსიტეტის მისია ღიად უნდა განიხილებოდეს აკადემიური საზოგადოების ყველა წევრს შორის და გახდეს მომავალი განვითარების საფუძველი.
- სტრატეგიული დაგეგმვა უნდა გადამუშავდეს ისე, რომ იგი ასახავდეს უნივერსიტეტის მიმდინარე სტრატეგიულ მიზნებს განათლების, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის, ინტერნაციონალიზაციის, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამების, შიდა ორგანიზაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.
- უზრუნველყავით შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა სტრატეგიული გეგმის გადამუშავების პროცესში („რებრენდინგის“ პროცესი)
- განხილული უნდა იქნეს შესაბამისი წახალისების სტრატეგიები და აქტივობები, რომელთა მიზანი იქნება უნივერსიტეტისა და პროგრამების მიმზიდველობის გაზრდა პოტენციური სტუდენტებისათვის.
- უნდა შემუშავდეს ახალი სამოქმედო გეგმა, სადაც კონკრეტული ქმედებები იქნება გაწერილი თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის, რომელთაგან თითოეული დაკავშირებული იქნება კონკრეტულ და გაზომვად მიღწევებთან/რაოდენობრივი შესრულების ინდიკატორებთან, ვადებთან, ბიუჯეტთან, ადამიანური რესურსების მოთხოვნებთან და პირებზე/ერთეულებზე პასუხისმგებლობის განაწილებასთან.
- უსდ უნდა დარწმუნდეს, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და განხილვა ხდება კვარტალურად, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხილვა და განახლება ხდება ყოველწლიურად დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, საჭიროების შემთხვევაში.
- გადაიხედოს ადმინისტრაციული ერთეულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, რათა გამარტივდეს ოპერაციები, აღმოიფხვრას გადაფარვები და წინააღმდეგობები.
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ფუნდამენტური ფუნქციები არის განსხვავებულად მხარდაჭერილი, სათანადოდ მართული და პერსონალით დაკომპლექტებული, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ და ეფექტიან მუშაობას, სტანდარტთან შესაბამისობის აღწერილობაში გაკეთებული კომენტარების მიხედვით:
    - ადამიანური რესურსების მართვა
    - საერთაშორისო საქმიანობები

    - კარიერის დაგეგმვა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერა.
- უზრუნველყოფილ იქნეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და განხილვის პროცესის მართვის ეფექტური ადმინისტრაციული მხარდაჭერა.
- უზრუნველყოფილ იქნეს წინააღმდეგობებისა და გადაფარვების არარსებობა ახლად დაგეგმილ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტსა და ფაკულტეტს შორის. ამისთვის ნათლად განაწილდეს საგანმანათლებლო საქმიანობაში სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტის ჩართულობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.
- გააძლიერეთ ხარისხის უზრუნველყოფის როლი და აღჭურვეთ დამატებითი რესურსებით, რათა უზრუნველყოთ ხარისხის უზრუნველყოფის სრული ფუნქციონირება და PDCA ციკლის საუნივერსიტეტო საქმიანობებში განხორციელება;
- თითოეული ფაკულტეტისათვის გამოყავით დეკანის პოზიცია.
- გაიზარდოს პროგრამების ხელმძღვანელების ჩართულობა პროგრამების მართვაში. ამისთვის გაიზარდოს მათი მმართველობითი უფლებამოსილება და მეტი დრო გამოიყოს მართვის ფუნქციებისთვის.
- გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვებში.
- ნათლად გაიწეროს მონიტორინგის სხვადასხვა პროცესის (მაგ.: სტუდენტი (სწავლება, სერვისები), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაცია/აკადემიური პერსონალი) პერიოდულობა
- დარწმუნდით რომ სტუდენტების გამოკითხვა ითვალისწინებს და ასახავს პროგრამის კონკრეტულ საკითხებს;
- დანერგეთ დამამთავრებელი გამოკითხვები იმ სტუდენტებისთვის რომლებმაც დაასრულეს პროგრამა იმ დროს როდესაც დასრულება უწევდათ ;
- დაკონკრეტდეს მონიტორინგის პროცესის პერიოდულობა.
- შეიქმნას და განხორციელდეს კითხვარი ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალისთვის.
- შემუშავდეს და განხორციელდეს აკადემიური მიღწევების მონიტორინგის მექანიზმი.
- საჭიროა სტრატეგიისა და ღონისძიებების შემუშავება სწავლებისა და სწავლის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დასაცავად, როგორც ყოველკვირეულ აქტივობებში, ასევე შუალედურ ან საბოლოო შეფასებებში.
- შემუშავდეს სტუდენტთა მხარდაჭერის აკადემიური სერვისები, რომლებიც უხელმძღვანელებს მათ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამოცანების შესრულებისას, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციის ცოდნა, ციტირება, პარაფრაზირება და ა.შ.
- შემუშავდეს ცნობიერების ამაღლების პიარ კამპანიები, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებაში პლაგიატის პრევენციას.
- გაუმჯობესდეს სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის პოლიტიკის კომუნიკაციის ფორმები, განახლდეს ინფორმაცია ვებგვერდზე.
- უზრუნველყოფილ იქნეს დამსაქმებელთა სისტემატური ჩართულობა ახალი პროგრამების დაგეგმვის/შემუშავებისა და არსებული პროგრამების შეცვლის პროცესში.
- დამკვიდრდეს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის რეგულარული პრაქტიკა.
- შექმენით და რეგულარულად გაანალიზეთ კურსდამთავრებულთა ბაზები.
- ჩაატარეთ სტუდენტების აკადემიური მოსწრების რეგულარული ანალიზი და შედეგები გამოიყენეთ მონიტორინგისა და საგანმანათლებლო პროგრამების განახლებისთვის

- შეიმუშავეთ უფრო მეტად დეტალური მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის, რომელიც მოიცავს დამსაქმებელთა, სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობის კონკრეტულ ფორმებს. ასევე გამოყავით საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების და განახლების საფეხურები.
- ბიოფარმაციისა და თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნების გამოყენებით.
- ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ECTS კრედიტებით გადანაწილება შეიცვალოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით
- შეიცვალოს აკადემიური პერსონალი იმ პროგრამებისთვის, სადაც პროფესორებისა და მოწვეული ლექტორების დატვირთვა აღემატება 5 ლექციას (თურქეთისმცოდნეობა, ბიოფარმაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა)
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის საფუძვლიანი გადახედვა და განახლება მოხდეს გამოქვეყნების თარიღის, სხვადასხვა სასწავლო კურსებისთვის ძირითადი ლიტერატურის დივერსიფიკაციის და სტუდენტებისთვის შესაბამისი ენის სახელმძღვანელოების მობილიზების მიზნით.
- სტუდენტებმა დროულად უნდა მიიღონ ინდივიდუალური უკუკავშირი წერილობითი ფორმით მათი აკადემიური მოსწრების შესახებ. ეს უნდა მოხდეს ყველა მასწავლებლისათვის განცალკევებულად, ელექტრონული პლატფორმების საშუალებით, რათა შესაძლებელი იყოს მონიტორინგი პროგრამის ხელმძღვანელებისა და დეკანის ოფისის მიერ.
- უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესაბამისი ანგარიშების წარმოება პროგრამის დონეზე, შესაძლო პრობლემური სფეროების იდენტიფიცირების მიზნით.
- საჭიროა მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დაზუსტება და ინტერესის გამოხატვის საჯარო მოწოდებები.
- გაიზარდოს სპეციალისტების რაოდენობა იმ ადმინისტრაციული ერთეულების შტატში, რომლებიც ემსახურება ძირითად სერვისებს, სასურველია ეს თანამშრომლები იყვნენ სრულ განაკვეთზე დასაქმებულნი და ამ სერვისების განვითარებაზე სრულად ორიენტირებულნი.
- უსდ-ის შიდა პოლიტიკის დოკუმენტში განისაზღვროს აკადემიური პერსონალის დატვირთვის კომპონენტების (როგორიცაა ლექცია, კონსულტაცია, სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა, მენეჯერული/ადმინისტრაციული მუშაობა) განაწილების წესი.
- გადაიხედოს სამუშაო დატვირთვის გამოთვლის მექანიზმი, რათა მან მოიცვას ყველა ტიპის სამუშაო, რომელსაც აკადემიური პერსონალი ასრულებს.
- ნებისმიერ სტუდენტს უნივერსიტეტისგან უნდა ჰქონდეს გარანტირებული უფლება და თანაბარი შესაძლებლობა, იყოს არჩეული (ყველა სტუდენტის მიერ) და მონაწილეობა მიიღოს მმართველობითი ორგანოების, მათ შორის სენატისა და ფაკულტეტის საბჭოების მუშაობაში.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების აქტიური მონაწილეობა სენატში სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას.
- უნივერსიტეტმა სტუდენტთა ეთიკის კოდექსის დოკუმენტი უნდა განავითაროს ისე, რომ ის უზრუნველყოფდეს დეტალურ და მკაფიო ახსნა-განმარტებას დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სანქციების/შედეგების მომტანი გარემოებების შესახებ, უზრუნველყოს სტუდენტების მონაწილეობა იმ კომისიაში, რომელიც პასუხისმგებელია დისციპლინურ ზომებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე და მკაფიოდ განსაზღვროს, სად შეუძლიათ სტუდენტებს საჩივრის შეტანა. გასაჩივრების პირველი ეტაპისთვის რექტორის ოფისი ძალიან მაღალ ორგანოს წარმოადგენს.

- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტები მუდმივად კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამებზე მათი უფლებების შესახებ და იმაზე, რომ მათ გაეწევათ შესაბამისი მეგზურობა ამ პროცესში.
- მნიშვნელოვანია, რომ ორენოვანი ინფორმაცია მარეგულირებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით (სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემის, აგრეთვე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების შესახებ) ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის ოფიციალურ ვებგვერდზე.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს გარემოს სრულად ადაპტირება სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის და სტუდენტებისთვის.
- უნივერსიტეტმა უნდა შექმნას კარიერის მხარდაჭერის სპეციალური სამსახური და გაზარდოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებულობა გაწეული მომსახურების შესახებ. სტუდენტებს ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ კარიერასთან დაკავშირებული რჩევები და მხარდაჭერა. ეს საკითხები შეიძლება მოიცავდეს CV-ის და სამოტივაციო წერილის დაწერას, სამსახურის პოვნას, გასაუბრების რჩევებს და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირების შესაძლებლობები შესახებ.
- სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურმა, რომელიც პასუხისმგებელია კარიერის მხარდაჭერაზე, სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად უნდა შეიმუშაოს დამსაქმებლებისგან უკუკავშირის მოპოვების მექანიზმი და რეგულარულად, ცენტრალიზებული წესით განაახლოს/განავითაროს სწავლების თანამედროვე შინაარსი.
- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის მცდელობები და სტუდენტები უზრუნველყოს სხვადასხვა გაცვლითი პროგრამებითა და თითოეულ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.
- უნივერსიტეტმა უნდა წაახალისოს სტუდენტების ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო და გაცვლითი მობილობის პროგრამებში.
- შემუშავდეს შიდა რეგულაციები პერსპექტიული წარდგენილი პროექტების სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასებისა და შიდა დაფინანსებისათვის.
- გაიზარდოს ძალისხმევა აკადემიური და კვლევითი პერსონალის ინფორმირებისთვის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის თაობაზე, მათ ფუნქციებზე, დატვირთვაზე და პროცესებში მათი ინტეგრაციისათვის, განსაკუთრებით ახლად დასაქმებული პერსონალის მიმართ.
- წაახალისეთ თანამშრომლობა, უნივერსიტეტის გარეთ, ეკონომიკურ აგენტებთან რათა განხორციელდეს კვლევითი პროექტები რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ ან სხვა ინოვაციურ განვითარებას და პერსონლაის სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას.
- შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტი უსდ-ის კვლევით პროექტებში ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვის შესახებ, მათ შორის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების ჩათვლით.
- შემუშავდეს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის პოლიტიკა.
- უზრუნველყოფილ იქნეს კვლევით საქმიანობაში ჩართულობის გაზრდის წახალისება. გასულ წელს ამ მიზნისათვის ბიუჯეტიდან თანხა არ გამოყოფილა. უსდ-მ განიხილოს ბიუჯეტის გაზრდის საკითხი, რადგან ის ძალიან მცირეა უნივერსიტეტის ამბიციების მხარდასაჭერად.

- გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევებში; გაიზარდოს უსდ-ის ძალისხმევა სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად, სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებისათვის და ა.შ.
- კვლევის შეფასება მკაცრად უნდა იყოს ფოკუსირებული კვლევით საქმიანობაზე და კვლევის შედეგებზე - არა ზოგადად სამეცნიერო საქმიანობაზე. დაიხვეწოს კვლევითი აქტივობის შეფასების სისტემა პერსონალის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დონეებზე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც დამყარებული იქნება გამჭვირვალე კრიტერიუმებზე, მათ შორის კვლევითი პუბლიკაციების კლასიფიკაციასა და კვლევის აღიარებაზე (ციტირების ინდექსზე).
- ფაკულტეტებმა შესაძლოა შეადგინონ ჟურნალების ან კონფერენციების ნუსხა, რომელსაც ისინი ჩათვლიან გამოქვეყნებისათვის საჭირო სამეცნიერო ხარისხის კრიტერიუმებად და შესაძლოა მოახდინონ მათი კლასიფიცირება გარკვეულ კატეგორიებად აბსოლუტური მინიმუმიდან უმაღლესი ხარისხის პუბლიკაციებამდე.
- ფაკულტეტებმა და უნივერსიტეტმა უნდა დააწესონ კონკრეტული მიზნები კვლევის შედეგების გაზრდისათვის და დაადგინონ შედარებითი საზომები.
- კვლევების შეფასების მოქმედი პროცესი უნდა გაფართოვდეს კვლევის ანალიზისა და შეფასების ინტეგრირებულ სისტემამდე, რომელიც მოიცავს ფაკულტეტებს, მეცნიერებს, ადამიანური რესურსებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. დაუკავშირეთ კვლევის შეფასების შედეგები და კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა პერსონალის დატვირთვას, წახალისებასა და ანაზღაურებას.
- საკმარისი შენობა-ნაგებობებით, რესურსებითა და საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც დაწესებულებას შეუძლია ჩარიცხოს.
- შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ავარიული გასასვლელი კარები იღებოდეს.
- შენობის თითოეული სართული უზრუნველყოფილ იქნეს პირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტით.
- ფარმაციის სტუდენტებისათვის კამპუსში დაარსდეს ფარმაციის ლაბორატორია.
- გაიზარდოს ბიბლიოთეკის სამუშაო საათები კვირაში 60-მდე, საჭირო სტანდარტის მიხედვით.
- გაფართოვდეს სამკითხველო დარბაზი, რათა მოემსახუროს უფრო მეტ მომხმარებლს, ვიდრე ამჟამად ემსახურება.
- დაიგეგმოს და შემუშავდეს სტუდენტთა დახმარების სერვისები ინფორმაციის მოძიებაში, ინფორმაციულ წიგნიერებაში, აკადემიურ კეთილსინდისიერებაში და აქტიურად ჩატარდეს ტრენინგები.
- დარწმუნდით რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არის ხელმისაწვდომი კატალოგში და ბიბლიოთეკაში
- გამოწერილ იქნეს დაწესებულებაში მოქმედ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებული აკადემიური მონაცემთა ბაზები, და აკადემიური პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობით შეეწყოს ხელს სტუდენტების მიერ მათ გამოყენებას.
- ჩაუტარდეს მონიტორინგი აკადემიური მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკას და შესაბამისად დაიგეგმოს ინტერვენციები.
- ელექტრონულ რესურსებთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნეს საავტორო უფლებების საკითხები.
- აკადემიური პერსონალისათვის შემუშავდეს სასწავლო მოდულები/საინფორმაციო შეხვედრები საბიბლიოთეკო რესურსების/მომსახურებების გამოყენების გასაუმჯობესებლად.

- საკმარისი შენობა-ნაგებობებით, რესურსებითა და საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც დაწესებულებას შეუძლია ჩარიცხოს.
- შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ავარიული გასასვლელი კარები იღებოდეს.
- შენობის თითოეული სართული უზრუნველყოფილ იქნეს პირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტით.
- ფარმაციის სტუდენტებისათვის კამპუსში დაარსდეს ფარმაციის ლაბორატორია.
- განახლდეს ვებგვერდის შინაარსი და ყველა ინფორმაცია გახდეს ხელმისაწვდომი;
- გაიზარდოს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერების რაოდენობა;
- გაუმჯობესდეს სასწავლო ინფორმაციის სისტემის ფუნქციონირება (დავალებების სხვადასხვა ფორმა შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის);
- დაარსდეს დაწესებულებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სერვისსა და მხარდაჭერას დროულად და საკმარისად.
- დაემატოს პერსონალური კომპიუტერები და პროექტორები ყველა აუდიტორიაში, რათა ყველა მასწავლებელს შეეძლოს მათი გამოყენება გაკვეთილის დროს.
- დაწესებულების ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ჩატარდეს ფინანსური აუდიტი.
- გათვალისწინებული და შესუსტებული იქნეს რისკები, რომელთაც შეიძლება შეამცირონ შემოსავლები დაწესებულების ბიუჯეტში;
- უსდ-მ მოიწვიოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი (აგრეთვე სტუდენტები) აქტიური მონაწილეობის მისაღებად ბიუჯეტის შედგენის პროცესში;
- დეტალური ბიუჯეტის დოკუმენტი გამოქვეყნდეს დაწესებულების ვებგვერდზე.

რჩევები:

- ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბებას.
- განხორციელდეს მონიტორინგი ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, კერძოდ, პროგრამის კატალოგზე.
- უფრო თანმიმდევრულად იქნას მხედველობაში მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება როდესაც პროგრამები წარდგება სააკრედიტაციოდ, ისე რომ ისინი ასახავდნენ პროგრამის ბოლოს მისაღწევ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს
- სასარგებლო იქნება პროგრამის ხელმძღვანელების ჩართვა ამ პროგრამების სასწავლო პროცესში.
- უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას სტუდენტური გაერთიანების სახით ან სტუდენტების მიერ არჩეული სხვა ფორმით.
- უნივერსიტეტმა შეიძლება მოისურვოს უფრო კონკრეტული და მკაფიო ინფორმაციის მოწოდება დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.
- უნივერსიტეტმა შეიძლება მოინდომოს სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ აკადემიური რჩევების შეფასება (თითოეული დაინტერესებული მხარის შეფასებით).
- კვლევითი ინსტიტუტის სტრატეგიის დამტკიცებისთანავე წარედგინოს იგი დაინტერესებულ მხარეებს, რათა გაიზარდოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში.

- გააქტიურდეს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ერთობლივ პროგრამები უფრო მდგრადი თანამშრომლობის და ხელშესახები შედეგების მისაღწევად.
- გუნდი, რომელიც მუშაობს სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტის სტრატეგიული გეგმის მომზადებაზე, გაითვალისწინოს მე-6 სტანდარტში წარმოდგენილი განხილვა.
- საჭიროა აქტიური მონაწილეობის მიღება ბიბლიოთეკის პერსონალისათვის განკუთვნილ პროფესიული განვითარების კურსებში/ტრენინგებში/ ღონისძიებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, გრიგოლ სულაბერიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის, რადგან დაწესებულებას მიეცა მის საქმიანობაში არსებული, გარკვეული ხარვეზების/ძლიერი მხარეების წარმოჩენის საშუალება და კიდევ უფრო გათავისება წარმოდგენილი სტანდარტების მიხედვით. მისი თქმით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უმაღლეს სამედიცინო დაწესებულებაში ჩართული იყო ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში და ასევე, ჩართული იყო იმ ციკლის განვითარების პროცესში, რომელიც დაგეგმილი ჰქონდა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ მან განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით რეკომენდაციები, რომელითა შესრულებას რამდენიმე დღე სჭირდებოდა უფრო რჩევა უნდა ყოფილიყო, მაგ., ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართ იყო რეკომენდაცია - „გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვებში“ - დაწესებულებას აქვს აღნიშნულის განხორციელების საშუალება, რადგან არა გეგმიურმა მონიტორინგმა მიუთითა და მაშინვე დაიწყეს მუშაობა, უნივერსიტეტი ახლად დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა საშუალებას მოგვცემდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში მაქსიმალურად გაეზარდათ სტუდენტთა ჩართულობა (90-95%-მდე).

რეკომენდაციის („ნათლად გაიწეროს მონიტორინგის სხვადასხვა პროცესის (მაგ.: სტუდენტი (სწავლება, სერვისები), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაცია/აკადემიური პერსონალი) პერიოდულობა“) შესახებ მან განმარტა, რომ როგორც რეკომენდაციიდან ჩანდა, უკვე გაწერილი იყო, თუმცა ის სინათლე, რაზეც რეკომენდაცია მიუთითებდა საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლა-სწავლების პროცესის შეფასება ციკლური იყო და წარმოებდა ყოველ სემესტრულად ან აკადემიური წლის ბოლოს, ზოგ შემთხვევაში საჭიროებისამებრ განსხავებულ ვადებში, ამიტომ აღნიშნული საქმიანობის მონიტორინგის ვადები ერთად მოექცა ცხრილში, სადაც წარმოდგენილი იყო რა სამიზნე ნიშნულები იქნებოდა და რა პერიოდულობით ჩატარდებოდა მონიტორინგი.

რეკომენდაციის („შეიქმნას და განხორციელდეს კითხვარი ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალისთვის“) შესახებ მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშის 24 დანართით წარმოდგენილ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის №055/01 2018 წლის 5 დეკემბერის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ დანართი 1.2 -ში წარმოდგენილი იყო თვითშეფასების კითხვარი სამეცნიერო პერსონალისათვის, ასევე დანართები (1.4; 1.5; 1.6) ადმინისტრაციაში დასაქმებული დამხმარე პერსონალის შეფასების ფორმა (აფასებდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ასევე ადმინსტრაციაში დასაქმებულის შეფასების კრიტერიუმები, დასაქმებულის კმაყოფილების კვლევისა და დასაქმებულის სამუშაო გარემოს სასურველ სტანდარტებთან არსებული შესაბამისობის კვლევის კითხვარები.

რეკომენდაციის („ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ECTS კრედიტებით გადანაწილება შეიცვალოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით“) შესახებ მან აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში

წარდგენილი იყო მიმდინარე პროცესები. მან განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამებშიც, რომლებთან დაკავშირებითაც გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. მისი თქმით ავტორიზაციის რეჟიმში დაწესებულებას დამატებული ჰქონდა საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამები და ერთი პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა ჰქონდათ აკრედიტებულ რეჟიმში, რომელმაც აკრედიტაცია 2019 წელს მიიღო და 2026 წლამდე გააჩნდა აკრედიტაცია, თუმცა მისი მოსაზრებით კლასტერული აკრედიტაციის პირობებში შესაძლებელია გადახედილიყო მისი ვადა, ამიტომ მაისში, როდესაც დაწესებულებამ წარადგინა მოდერნიზებული პროგრამები ავტორიზაციის რეჟიმში განსახორციელებლად, არ შეეხნენ აკრედიტებულ პროგრამას, რომელიც აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, სამიზნე ნიშნულები და ა.შ. წარდგენილი იყო მოთხოვნების მიხედვით, თუმცა ჩანაწერი 180 კრედიტი, მოგვიანებით დამტკიცდა სამეცნიერო კომპონენტზე კრედიტის მინიჭების მოიხსნა, აღნიშნული ჩანაწერი დარჩა პროგრამაში, თუმცა დაწესებულებამ აკრედიტებული პროგრამის ცვლილება არ ჩათვალა საჭიროდ.

რეკომენდაციის („ბიოფარმაციისა და თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნების გამოყენებით“) შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამების მოდერნიზაცია მიმდინარეობდა ავტორიზაციის რეჟიმის მოთხოვნების მიხედვით, ამ ეტაპზე განახლება მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა და სწავლის შედეგები სრულად ჩამოყალიბდებოდა განახლებული ბლუმის ტაქსონომიის-ზმნების კლასიფიცირების მიხედვით.

რეკომენდაციასთან („საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის საფუძვლიანი გადახედვა და განახლება მოხდეს გამოქვეყნების თარიღის, სხვადასხვა სასწავლო კურსებისთვის ძირითადი ლიტერატურის დივერსიფიკაციის და სტუდენტებისთვის შესაბამისი ენის სახელმძღვანელოების მობილიზების მიზნით“) დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მაგალითად მოყვანილი ჰქონდა ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელიც სხვადასხვა წელს იყო გამოცემული და მედიცინის დარგის სპეციალისტებიც უნდა დათანხმებოდნენ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორი გახლდათ ის სპეციალისტი, რომელიც წლების განმავლობაში ჯანდაცვის სისტემაში მუშაობდა და იმ სახელმძღვანელოში განხილული იყო ჯანდაცვის ეკონომიკის საკითხები, რომლებიც სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა დისციპლინაში იყო გაწერილი და წარმოადგენდა ქართულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოს და ის, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო გამოყენებული იყო რამდენიმე სხვადასხვა სასწავლო კურსისთვის დაწესებულება არ დაეთანხმა. მისი თქმით განახლების პროცესი მუდმივად მიმდინარეობდა და აკრედიტაციის დროს მოხდებოდა სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მან სთხოვა, როგორც ექსპერტთა ჯგუფს ასევე საბჭოსაც, რომ 3.1 კომპონენტში არსებული შეფასება „ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს“ შესაძლოა შეცვლილიყო შეფასებით „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“, 3.3 კომპონენტში არსებული შეფასება „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“, აღნიშნული სტანდარტის შეფასებას აწევდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“, რადგან პროგრამები აკრედიტაციის პროცესში იყო და დაწესებულება მუშაობდა აღნიშნულზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რომელ კომპონენტზე იყო საუბარი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა განმარტა, რომ საუბარი იყო 3.1 კომპონენტზე.

უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ორგანიზების და კოორდინირების სპეციალისტმა, ბელა კოპალიანმა, განაცხადა, რომ როდესაც დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაციები მეექვსე სტანდარტთან, კვლევით საქმიანობასთან, ინტერნაციონალიზაციასთან და სამეცნიერო კვლევითი მიმართულების შეფასების შესახებ, დაწესებულებამ რეკომენდაციების შესაბამისად მოამზადა არგუმენტირებული პოზიცია. რეკომენდაციის („წაახალისეთ თანამშრომლობა,

უნივერსიტეტის გარეთ, ეკონომიკურ აგენტებთან რათა განხორციელდეს კვლევითი პროექტები რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ ან სხვა ინოვაციურ განვითარებას და პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას“) შესახებ, რომელიც საბოლოოდ არ აისახა დასკვნაში, მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებული იყო უნივერსიტეტის პერსონალის მატერიალური და მორალური წახალისების წესი, რომელიც ეყრდნობოდა საქართველოს შრომის კოდექსისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. აღნიშნული წესი ძალაში შევიდა 2021 წლის 1 ოქტომბრიდან (რის გამოც, შესაძლებელია არ ჩაეთვალა ექსპერტთა ჯგუფს) და მოქმედებს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან მიმართებაში. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდებოდა რექტორის ბრძანებით, შესაბამისად საჭიროებებიდან და რეკომენდაციიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო დამატებითი მიმართულებების გენერირება წარმოდგენილ დოკუმენტში.

რეკომენდაციასთან („ფაკულტეტებმა შესაძლოა შეადგინონ ჟურნალების ან კონფერენციების ნუსხა, რომელსაც ისინი ჩათვლიან გამოქვეყნებისათვის საჭირო სამეცნიერო ხარისხის კრიტერიუმებად და შესაძლოა მოახდინონ მათი კლასიფიცირება გარკვეულ კატეგორიებად აბსოლუტური მინიმუმიდან უმაღლესი ხარისხის პუბლიკაციებამდე“) დაკავშირებით, მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი არ დაურქმევიათ, სხვა ტექნიკებით ხდებოდა აღრიცხვა, რაც ექსპერტთა ჯგუფსაც წარუდგინეს, თუმცა რეკომენდაცია საინტერესო იყო და დაწესებულება გეგმავდა ამ ტიპის ჟურნალების შემუშავებასაც.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, მისასალმებელი იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულება მეტწილად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ორგანიზების და კოორდინირების სპეციალისტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა ყველა სტანდარტში, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები ეცადნენ, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში ჩაედოთ ყველაფერი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე რუსეცკიმ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პოზიტიური განწყობისთვის სამუშაო პროცესში. მას სურდა ყურადღება გაემახვილებინა რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, დაწესებულება განეკუთვნებოდა მცირე უნივერსიტეტების კატეგორიას, შესაბამისად მცირე ორგანიზაციის მართვის სისტემა, შედეგები და ა.შ. განისაზღვრება სხვანაირად, ვიდრე მსხვილი ობიექტების. მისი თქმით, სხდომის განმავლობაში ყურადღება არ გამახვილებულა იმ ფაქტზე, რომ დაწესებულება იყო არაკომერციული ორგანიზაცია, რადგან საქართველოს ბაზარზე რამდენიმე ერთეული იყო და არაკომერციული უმაღლესი განათლება საქართველოში არ იყო განვითარებული, განსხვავებით აშშ-სა და სხვა წამყვანი ქვეყნებისგან, დაწესებულება მაგ კითხით მიისწრაფოდა და რეალურად წარმოადგენდა ექსპერიმენტს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში მათი პარტნიორები დაინტერესებულნი იყვნენ მათი არსებობით, მათი დადებითი და უარყოფითი გამოცდილებით. 3.1 კომპონენტის შესახებ მან განაცხადა, რომ სურდა დათანხმებოდა მისი კოლეგების მიერ გაჟღერებულ თხოვნას, რადგან სტანდარტულ სქემაში, რომელიც მუშაობდა შეფასების პროცესში, მაგ., დამსაქმებლებთან ურთიერთობის კონტექსტში, დაწესებულებაში იყო გარკვეული სპეციფიკა, რომელიც წარდგენილი იყო შემდეგი სახით, დასაქმებას უყურებდნენ, როგორც საპატრიარქოს ერთეული თვითონ იყო საკმაოდ მსხვილი დამსაქმებელი, საპატრიარქო შეიცავდა 100-მდე სკოლას, 70-მდე განათლების ერთეულს, ასევე, არის სხვადასხვა ორგანიზაციული ერთეულები. ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხს, რომ დაუშვეს უნიკალური საგნები, რომელთა ანალოგი სხვა უნივერსიტეტებში არ იყო, მაგ., პირველკურსელებს ჰქონდათ საგანი „თვითშემეცნება და გზა პროფესიული ბედნიერებისკენ“, აღნიშნული კურსი ეკითხებოდათ, რადგან დაწესებულებას პრინციპულად ახალი მიდგომა ჰქონდა წარმოდგენილი დასაქმებისთვის. მისი თქმით, ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტების, მათი უნივერსიტეტის სტუდენტებიც იყვნენ დასაქმებულნი, თუმცა არა

მათი პროფილით, სურდათ მიეღწიათ იმისთვის, რომ მათ მიერ მიცემული ცოდნა სტუდენტს გამოეყენებინა შემოსავლებისთვის, მათი და საზოგადოების კეთილდღეობისთვის, ამიტომ პროგრამაში არსებული რამდენიმე საგანი ამას ემსახურებოდა, ხდებოდა არამარტო კარიერის დაგეგმვა, არამედ პერმანენტული ხელშეწყობა, რაც არ გულისხმობდა მხოლოდ სტუდენტებზე ორიენტაციას, ისინი ზრუნავდნენ პედაგოგებისა და ადმინისტრაციის კარიერის განვითარებაზეც. ის, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემაც ისაუბრა, პერსონალის დასაქმება სხვა უნივერსიტეტებში, შესაძლებელია ნეგატიური კუთხითაც ყოფილიყო განხილული, მაგრამ მეორე მხრივ ზრდიდა დაწესებულების შესაძლებლობებს, დაწესებულებას ჰქონდა ინტერდისციპლინური პროგრამები, მათთვის სასიხარულო იქნებოდა, თუ მეტი ყურადღება იქნებოდა გამახვილებული იმ პოზიტიურ დინამიკაზე, რაც იყო უნივერსიტეტში, რადგან შედეგების დანახვა ასე სწრაფად არ შეიძლებოდა, თუმცა დაწესებულებას ჰქონდა შუალედური შედეგები.

უნივერსიტეტის სერვისების/კარიერული განვითარების და კომუნიკაციის სამსახურის კოორდინატორმა, ინგა ღუტიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის, მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები დაწესებულებას დაეხმარებოდა განვითარებასა და სრულყოფაში. ინტერნაციონალიზაციის შესახებ მან განმარტა, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის ზომისა და სიმცირისა, უნივერსიტეტს ჰქონდა განსაკუთრებული ნიშა და აღნიშნული პროცესი მიდიოდა აღმავალი ხაზით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში 4 უნივერსიტეტთან დაამყარეს აქტიური ურთიერთობა და ორისგან უკვე მიღებული ჰქონდათ საბოლოო პასუხები, გამოგზავნილი იყო ხელმოწერილი დოკუმენტები, მემორანდუმების შესახებ. ასევე, მიმდინარეობდა საუბარი Erasmus-ის პროექტებთან დაკავშირებით, რომელთა განახლებაც თებერვლიდან იგეგმებოდა. ფრაგმენტულობას კი განაპირობებდა PR-ის ნაკლებობა, ამ მიმართულებასაც დაწესებულება აქტიურად განიხილავდა და ჩართული იყო აბსოლუტურად ყველა რგოლი, რეკომენდაციების გაცემის შემდეგ დაწესებულებამ უკვე მოახერხა 10-მდე სკოლასთან მემორანდუმების გაფორმება და პროცესი კიდევ გრძელდებოდა. PR დაიწყო ტელევიზიებით და აღნიშნული პროცესიც აღმავალი უნდა ყოფილიყო და რაც მთავარი იყო მას შემდეგ, რაც პროგრამის შესახებ კლასტერული აკრედიტაციის შემდეგ ექნებოდათ პასუხები სურათი იქნებოდა მეტად განვითარებული, დაწესებულების ზომის მიუხედავად.

რექტორმა, არქიმანდრიტმა ადამმა, გამოთქვა სურვილი, რომ ის რაც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ვიზიტების დროს და დასკვნითი სიტყვა, რომელიც წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დაწესებულებას მისცა იმედი, რომ შეფასებები, რომლებიც დასკვნაში იქნებოდა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო უფრო პოზიტიური/მაღალი და მან სთხოვა საბჭოს გაეთვალისწინებინა დაწესებულების ყველა პოზიტივი/მიღწევა, რაც ჰქონდა უნივერსიტეტს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საგანმანათლებლო სივრცეში. მისი თქმით განსახილველმა უნივერსიტეტმა, სხვა უნივერსიტეტებზე გვერდის ავლით, პირველმა მიიღო ავტორიზაცია 2010 წელს, შესაბამისად დაწესებულება მუდმივად ამ დინებაში იყო და იმის წარმოდგენა, რომ მათი მოღვაწეობა ძალიან ფრაგმენტული იყო, ობიექტურად არ მიაჩნდა, რადგან საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებამ გამოიწვია დაწესებულების უკმაყოფილება, არ შეიძლებოდა მათ მიერ წარდგენილი/შემუშავებული პროგრამები, რომლებიც ყოველთვის დადებითად იყო შეფასებული, უცებ აღმოჩენილიყო ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტებთან. მისი მოსაზრებით, დაწესებულება ვერ განვითარდებოდა, თუკი მთელი რიგი ფაქტორების გაუთვალისწინებლად მოხდებოდა მათი შეფასება, თუნდაც, პანდემიური ფონის გათვალისწინების გარეშე, მისი განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენელთა მცირე რაოდენობა იყო წარდგენილი, რადგან 4 წარმომადგენელს დადასტურებული ჰქონდა კორონავირუსი. მან განაცხადა, რომ დაწესებულება ურთიერთობდა სტუდენტებთან, რომელთაც უკიდურესი სოციალური გაჭირვება ჰქონდათ, ავითარებდნენ ასეთ სოციალურ პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევდა სტუდენტებს არ შეეწყვიტათ სწავლა, როდესაც დაწესებულებაში არსებობდა სტუდია, რომელიც პროფესიებს აძლევდა სტუდენტებს,

ნიშნავდა, რომ ასრულებდა მთავარ ფუნქციას ის იყო მმართველი ძალა სახელმწიფოს ინტელექტუალური განვითარებისა. მან საბჭოს წევრებს მოუწოდა, რომ გაეთვალისწინებინათ შეფასების დროს, რომ უნივერსიტეტის უკან იდგა, გაჭირვებულები, საპატრიარქო და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა 3.1 კომპონენტთან დაკავშირებით, მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ეწერა - „წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას, ექსპერტებმა ვერ აღმოაჩინეს საკმარისი და სანდო მტკიცებულება პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა სრული ჩართულობის შესახებ“, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აღეწერათ პროცესი, თუ როგორ ხდებოდა პროგრამის შემუშავება, ასევე დაინტერესდა თუ რა ნაბიჯებს დგამდა დაწესებულება პლაგიატის პრევენციის მიმართულებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა განაცხადა, რომ პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა რგოლი, ფაკულტეტის დეკანატი, ფაკულტეტის საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პოტენციური დამსაქმებელი და კურსდამთავრებულები, სტანდარტთან მიმართებით ითქვა, რომ ვერ იქნა სათანადო მტკიცებულებები წარმოდგენილი, რადგან უნივერსიტეტს კურსდამთავრებულებისთვის ყავდა დამსაქმებელი, რომელიც გახლდათ საპატრიარქოს კლინიკა, და წლების განმავლობაში აღნიშნული კლინიკა, რომელიც აღნიშნული უნივერსიტეტის საწყისია და მისი დირექტორი დაწესებულების რექტორი გახდა, მათი კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იყვნენ სტუდენტობიდანვე არა პროფილური, რადგან ვერ იქნებოდნენ თავისი პროფესიით დასაქმებულნი სტუდენტის სტატუსიდან გამომდინარე, ტექნიკურად ვერ მოხერხდა კლინიკის დირექტორის ჩართვა ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს, თვითონ საპატრიარქოს სივრცეში არსებული სასწავლო დაწესებულებები იყვნენ დამსაქმებლები მათი სტუდენტებისა, კითხვაზე, თუ რატომ არ მოხდა ექსპერტთა ჯგუფთან დამსაქმებლების შეხვედრისას წარმომადგენლის მოწვევა, მან განაცხადა, რომ დამსაქმებელი, რომელიც იყო წარმომადგენელი საპატრიარქოს დაწესებულებებისა იყო დამსაქმებელი, სადოქტორო პროგრამებიდან 2 პროგრამის („ქრისტიანობის ისტორიისა“ და „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო პროგრამა) ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო, ჰყავდა კონკრეტული დამსაქმებელი, ვინაიდან დაწესებულების მხრიდან ის პიროვნება მოწვეული არ გახლდათ, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს არ ექნებოდა მასთან შეხვედრის საშუალება. პლაგიატთან და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას 2019 წლიდან დაწყებული ჰქონდა ანტიპლაგიატის სისტემის გამოყენება, საბაკალავრო ნაშრომები, რომლითაც სტუდენტები, უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე სტუდენტები ყველა საბაკალავრო პროგრამას ასრულებდნენ საბაკალავრო ნაშრომის დაცვით და არა კომბინირებული გამოცდები, 2019 წლიდან ხდებოდა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება, წარდგენილი იყო ნიმუშებიც, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა იხილა. ფსიქოლოგიის პირველივე სემესტრში შეტანილია სასწავლო კურსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა სტუდენტებს დასწრებოდნენ და მიეღოთ ინფორმაცია ანტი პლაგიატთან დაკავშირებით.

დამსაქმებელის, ლაშა ჩეკურიშვილის, განცხადებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ახსენა საპატრიარქოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, როგორც დამსაქმებლებმა მონაწილეობა მიიღეს პროგრამის შემუშავებაში, ფაკულტეტის სხდომებზე, შესაბამისად პოზიციების ურთიერთშეჯერების დაბრუნდა ხელშეკრულებები.

ფაკულტეტების დეკანმა, ბელა სარიამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები ისე იყო აგებული, რომ ყველა მნიშვნელოვან, საკვანძო, გამჭოლ კომპეტენციას სტუდენტებს ამ სილაბუსების შესწავლის დროს აძლევდნენ, გამონაკლისი არ იყო არც პლაგიატთან მუშაობის

წესები, მეორე კურსიდან იკითხებოდა აკადემიური წერა, რომელიც მოიცავს აკადემიური ნაშრომის შესრულებისთვის წყაროების დამუშავების წესს, პლაგიატი და მისგან თავდაცვის სახეებზე და სხვა. მისი თქმით უნივერსიტეტის მცირერიცხოვნობის ნაწილში მუდმივად იყო ყურადღება გამახვილებული, მას შეეძლო მოეხსენებინა სტუდენტების ზუსტი რაოდენობა. მისთვის უცნობი იყო დამოკიდებულებები საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, საქართველოში კი ტენდენცია იყო, რომ საექთნო პროგრამების განვითარება ხდებოდა პროფესიული განათლების საფეხურზე, რამაც გამოიწვია ის, რომ სტუდენტები ფაქტობრივად აღარ იყვნენ. მცირე კონტიგენტიანობამ მისცა დაწესებულებას საშუალება, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მორგებული იყოს თითოეულ სტუდენტსა და მის განვითარებაზე, ერთი ნაწილი არის ინდივიდუალური გეგმებით სწავლება და მეორე ინდივიდუალური კონსულტაციები.
საბჭოს წევრი, იური მღებრიშვილი, დაინტერესდა ინტერდისციპლინური პროგრამებისა და მათი განხორციელების რესურსების შესახებ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა ინტერდისციპლინური პროგრამა, ეს იყო თურქეთის მცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, ამ ეტაპზე, ექსპერტთა დასკვნაშიც იყო ნახსენები, რომ ახალი კლასიფიკატორის მიხედვით თურქეთის მცოდნეობა განიხილებოდა, როგორც ფილოლოგიის ერთ-ერთი დარგი, თუმცა დაწესებულებისთვის ეს იყო ინტერდისციპლინური პროგრამა, რადგან ერთიანდება ქვეყანათმცოდნეობაში და არა თურქულ ფილოლოგიაში, მისი განხორციელების საშუალება უნივერსიტეტს მიეცა თურქულ დიასპორასთან ურთიერთობის საფუძველზე.
ექსპერტმა, ნინო დოლიძემ, განაცხადა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის განმავლობაში ჰქონდათ საერთო აზრი, რომ უნივერსიტეტში ბევრი პროცესი ვითარდებოდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეეფასებინა არსებული რეალობა და არა პროგნოზი თუ რა იქნებოდა მომავალში. დაწესებულებას ჰქონდა განვითარების შესაძლებლობა და გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 15:15 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:22 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^1 მუხლის მე-3 პუნტის, 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 103-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 350-ით.

ასევე, საბჭომ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ განსხვავებული წესით განხორციელდა ავტორიზაციის პროცესი. თვითშეფასებისა და შესაბამისი მასალების საფუძველზე ჩამოაყალიბეს დასკვნა, უნივერსიტეტი მდებარეობს ძალიან მნიშვნელოვან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, აქედან გამომდინარე, მას განსაკუთრებული როლი ეკისრა. იგი დაარსდა 2014 წლის 22 დეკემბერს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით დადგენილი წესით 1990 წლიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ სივრცეში არსებული ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო ბაზაზე და როგორც მართლმადიდებლურმა საღვთისმეტყველო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააგრძელა მისი საქმიანობა. სასულიერო სემინარიის მისია ქართული სახელმწიფოებრიობის, ერის ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ხელშეწყობა, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. სასულიერო

სემინარია განახორციელებს მხოლოდ საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 47^5 მუხლით გათვალისწინებულ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების პროგრამებს. სასულიერო სემინარიის საქმიანობა მოწოდებულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიისთვის ღვთის მსახურებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად. ვინაიდან დაწესებულება ატარებდა კოლეჯის სტატუსს შეუძლებელი იყო მისი შეფასება მეექვსე სტანდარტის ფარგლებში. დაწესებულებას დიდი შრომა ჰქონდა გაწეული, რათა არსებული რეგულაციები/მექანიზმები შეექმნა და მოეწესრიგებინა ისე, როგორც სტანდარტი ითხოვს, ძალიან დიდი ნაწილი მარეგულირებელი დოკუმენტაციისა მას უკვე ჰქონდა, უმრავლესობა მათგანი დამტკიცებული იყო 2021 წელს. თვითონ დაწესებულება არ იყო დიდი ზომის, მოთხოვნილი კონტიგენი შეადგენდა 150 სტუდენტს, რომელიც იყო არსებული ზღვრულ რაოდენობაც. აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა-31, შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა-7, პროგრამების დასრულების მაჩვენებელი-154, დასაქმებული პერსონალის რაოდენობა-სულ 53, მათ შორის აკადემიური პერსონალი-30 (ყველა აფილირებულია), მოწვეული პესონალი-3 , ადმინისტრაციული და დამხმარე-ტექნიკური პერსონალი-20.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ლაშა ჩეკურიშვილის, განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ არ ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები მათი ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, 2014-2015-2016 წლებში, როდესაც ორმა დაწესებულებამ პროგრამები დაიმატა, ერთობლივად შეთანხმებული პრაქტიკის მიხედვით დაწესებულებამ გაიზიარა ყველა ის ძლიერი მხარე, რომელიც უკვე არსებობდა პრაქტიკაში და თვითშეფასების პროცესში ასახა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასება გავლენას არ ახდენდა უნივერსიტეტზე ის ხდებოდა, როგორც განმავითარებელი შეფასება, გარკვეული რეკომენდაციების გაზიარების გამოცდილებაც აქვთ და თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც შეიკრიბება გარკვეული მიმართულებებით მსჯელობისთვის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაც ერთ-ერთი სამუშაო დოკუმენტი იქნებოდა, ყველა ის პოზიტიური შეფასება გაზიარებული/დანერგილი იქნებოდა დაწესებულების პრაქტიკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
ვინაიდან საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ საბჭო გავიდა სათათბირო შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 15:38 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:41 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიისათვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, და 103-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიას (სტატუსი - კოლეჯი) მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 150-ით

3. ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც განსხვავებული სახით ხდება ავტორიზაცია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილი)

ძალისხმევით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ფოთის ეპარქიაში 1997 წლის 20 სექტემბერს მართლმადიდებლურ სწავლებაზე დაფუძნებული მაღალი კულტურისა და ზნეობის მქონე სასულიერო, სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების მიზნით, შეიქმნა ფოთის წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის საღვთისმეტყველო-კატეხიზატორული სკოლა. მისი წესდების შესაბამისად, იგი წარმოადგენდა იურიდიულ პირს, თუმცა დაარსებისას არ განსაზღვრულა მისი, როგორც იურიდიული პირის ფორმა და თავის საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ სივრცეში. საზოგადოების საჯარო ინტერესისა და დაწესებულების მაღალი მნიშვნელობის გათვალისწინებით 2009 წლის 12 ივნისს დაწესებულების სახელწოდებაში შევიდა ცვლილება და დადგენილი წესით სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა - ფაზისის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურმა აკადემიამ და როგორც საღვთისმეტყველო უმაღლესმა საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითმა დაწესებულებამ, უწყვეტად გააგრძელა საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით დადგენილი წესით არსებული ფოთის წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის საღვთისმეტყველო-კატეხიზატორული სკოლის საქმიანობა. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, 2014 წლის 25 ოქტომბერს დაწესებულების ორგანიზაციულ-სტრუქტურულ მოწყობაში დადგენილი წესით განხორციელდა ცვლილებები და ჩამოყალიბდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ახალი საქართველოს უნივერსიტეტი. დაწესებულება ახორციელებდა ორ სამაგისტრო (ქრისტიანული ფილოსოფია“, „ქრისტიანული ფსიქოლოგია“) და ერთ სადოქტორო („ქრისტიანული ფილოსოფია“) საგანმანათლებლო პროგრამას. შეფასება მოხდა მხოლოდ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოსაზრებით მათ მერ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა დაწესებულების განვითარებაში, დაწესებულების მხრიდან საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია. რეკომენდაციები ეხებოდა ძირითადად შეფასების საკითხებს, ნაშრომების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
უნივერსიტეტის პროფესორმა, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორმა, თენგიზ ირემაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწერილი რეკომენდაციებისათვის. ასევე განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებდა მიზნობრივ საგანანმანათლებლო პროგრამებს, სადაც ბაზრის კომპონენტი არ შემოდიოდა, ეკლესიას სჭირდებოდა სპეციალისტები განსაკუთრებით ქრისტიანული ფილოსოფიის მიმართულებით. დაწესებულებას ჰყავდა 14 დოქტორანტი, რომლებმაც ძალიან კარგად ფლობდნენ უცხო ენას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
ვინაიდან საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ საბჭო გავიდა სათათბირო შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 15:55 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:57 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, და 103-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტს (სტატუსი - უნივერსიტეტი) მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 300-ით

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით